ბეჭდვითი მედიატექნოლოგიები	
პროგრამის ტიპი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	
დონე: მესამე	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბაზო საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ბეჭდვით მედიატექნოლოგიებში	
პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა: საბაზო განათლება	
პროგრამის მიზანი: მოამზადოს ბეჭდვითი მედიატექნოლოგიების სფეროსთვის კვალიფიციური, პრაქტიკული უნარ–ჩვევების მქონე, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელიც შეძლებს პროფესიისთვის დამახასიათებელი ძირითადი ფუნქციების განხორციელებას. კერძოდ, ორგანიზაციებიდან (მაგ., გამომცემლობებიდან) მიღებული დედნების მიხედვით სხვადასხვა ბეჭდვითი პროდუქციის წარმოებას (ჟურნალ-გაზეთები, ბლანკები, ბროშურები, წიგნები, ბუკლეტები, ფლაერები, სტიკერები, პოსტერები, ეტიკეტები, შესაფუთი მასალა და ა.შ.).	
პროგრამის სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: • დაიცვას უსაფრთხოების წესები მომავალი პროფესიული პროფილის შესაბამისად და ჩამოაყალიბოს ოპტიმალური შრომითი ურთიერთობები; • დააკონსტრუიროს ბეჭდვითი პროდუქცია დამკვეთის სპეციფიკაციის მიხედვით; • შექმნას ნაბეჭდი პროდუქციის ორიგინალური მაკეტი; • შეარჩიოს მასალა ბეჭდვითი პროდუქციის დამზადებისთვის; • გააკეთოს პროდუქციაზე გახარჯული მასალების რაოდენობრივი კალკულაცია; • დაბეჭდოს სხვადასხვა ტიპის საბეჭდ დანადგარებზე (მათ შორის ციფრულ და ტრაფარეტულ) წინასწარ მომზადებული გეგმის მიხედვით; • იმუშაოს ბეჭდვის შემდგომი პროცესების ნებისმიერ უბანზე, აწარმოოს წიგნები, ბროშურები, ბუკლეტები, რვეულები და სხვა; • დაამზადოს და დაამონტაჟოს გარე და შიდა რეკლამისთვის პროდუქცია; • შექმნას და პრაქტიკულად შეარსულოს წიგნის წარმოების თეორიული ციკლი; განასხვავოს წუნდებული პროდუქცია;დაამზადოს ეტიკეტი ან შეფუთვა სხვადასხვა პროდუქტებისთვის.	
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	
ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 90 კრედიტს	*არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 105 კრედიტს*
სწავლის ხანგრძლივობა	
ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 14 თვეს	*არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 17 თვეს*

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: ბეჭდვით მედიატექნოლოგიებ-ში საბაზო საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ შეუძლია დასაქმდეს მკინძავად, მბეჭდავად სხვადასხვა სახის პროფილურ საწარმოებში: სტამბებში, სარეკლამო კომპანიებში, გამომცემლობებში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, საპროექტო, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებში, რომლებიც სხვადასხვა ნაბეჭდ პროდუქციას გამოსცემენ. შესაძლებელია თვითდასაქმებაც.

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

პროგრამა მოიცავს 6 ზოგად მოდულს 17 კრედიტის მოცულობით, 10 პროფესიულ მოდულს 73 კრედიტის მოცულობით და ქართული ენის მოდულს 15 კრედიტის მოცულობით.

მოდულის: „ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ქართული ენა A2	15
2	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
3	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
4	რაოდენობრივი წიგნიერება	2
5	მეწარმეობა 1	2
6	უცხოური ენა (ინგლისური ენა)	4
7	სამოქალაქო განათლება	3
8	გაცნობითი პრაქტიკა - ბეჭდვით მედიატექნოლოგიებში	2
9	პრაქტიკული პროექტი - ბეჭდვითი მედიატექნოლოგიები	10
10	საბეჭდი და დამხმარე მასალები	7
11	შრომის უსაფრთხოება	2
12	ბეჭდვამდელი სამუშაოს შესრულება	10
13	ტრადიციული ბეჭდვის პროცესი	10
14	ციფრული ბეჭდვა	6
15	ბეჭდვის შემდგომი პროცესები	12
16	ეტიკეტი და შეფუთვა	4
17	სარეკლამო პროდუქციის წარმოება	10

ჯამში	**105**

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა:
პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

პროგრამის განხორციელების ადგილი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, I კორპუსი, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №68, VII სართული - 704 აუდიტორია, V სართული - 556 კომპიუტერული კლასი;

პრაქტიკის კომპონენტი: სტამბა შპს ,,სეზანი“ - ქ. თბილისი, დიდი დიღომი, არჩილ მეფის №1.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებული ინფორმაცია:
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების შერჩევა წარიმართება პრაქტიკული მოსინჯვის გზით. სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის არსებობს სხვადა სხვა ტიპის რესურსი.
საგანმანათლებლო მხარდაჭერა დამოკიდებულია პირის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- სასწავლო პროცესისა და რესურსის მორგება;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მხარდაჭერა;
- სასწავლო პროცესის ასისტენტის მხარდაჭერა;
- ტრანსპორტირების უზრუნველყოფა;
- სხვა საჭირო რესურსისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

ინკლუზიური განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხორციელდება შემდეგი აქტივობები: • ტრენინგ-შეხვედრები აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის; • მშობელთა ფსიქო-განათლება; • შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე ღონისძიებ(ებ)ის მოწყობა; • ინფორმაციული ბუკლეტებისა და ბროშურების შექმნა; პოტენციურ დამსაქმებლებთან კომუნიკაცია და ა.შ.
საკონტაქტო პირი თეა ბარამაშვილი +995 551 611 611 e-mail: baramashvili.t@gtu.ge **პროგრამაზე რეგისტრაციასთან დაკავშირებით საკონტაქტო პირ(ებ)ი** მაია ფრიდონიშვილი pridonishvili.m@gtu.ge 557278970 ლელა გერგეშელიძე l.gergeshelidze@gtu.ge 599270682